



ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო



ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა № 156

10 ივლისი
“ --- ” ----- 2018 ♡

ბ. თბილისი

ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, აკაკი წერეთლის გამზ. №117, 139-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.13.06.001.015; 01.13.06.001.011; 01.13.06.001.016; 01.13.06.001.036; 01.13.06.001.027) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2017 წლის 10 აგვისტოს №32 ოქმის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 9 ოქტომბრის №04/10652 წერილის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის 2018 წლის 4 ივლისის №15-03181852-03 წერილის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებული იქნას ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, აკაკი წერეთლის გამზ. №117, 139-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: ##01.13.06.001.015; 01.13.06.001.011; 01.13.06.001.016; 01.13.06.001.036; 01.13.06.001.027) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული AR1528380 განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად.

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე

I. გეგმარებითი დავალების გაცემის საფუძველი**განცხადება:** AR1528380 (28.07.2017);**განმცხადებელი:** ალექსანდრე ლაზვიაშვილი;**ობიექტის მისამართი/ადგილმდებარეობა:** ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, აკაკი წერეთლის გამზირი #117, აკაკი წერეთლის გამზირი #139-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე;**მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდები:** NN 01.13.06.001.015, 01.13.06.001.011, 01.13.06.001.016, 01.13.06.001.036, 01.13.06.001.027;**საპროექტო ტერიტორიის ფართობი საკადასტრო ერთეულების თანახმად:** 14708 კვ.მ;**საპროექტო ტერიტორიის არეალი და ფართობი:** დაზუსტდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის (შემდგომში გრგ) შეთანხმების სტადიაზე;**ფუნქციური დანიშნულება და გამოყენება:** საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ში ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების ძირითადი და საგამონაკლისო დასაშვები სახეობები;**ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონა:** პერიფერიული ზონა (პზ) – დედაქალაქის ტერიტორიების ათვისების დაბალი ხარისხის ნიშნით გამოყოფილი ტერიტორიული ელემენტი;

გეგმარებითი კარკასი (გკ) – დედაქალაქის ცენტრალურ, შუალედურ და პერიფერიულ ზონებში, ქალაქის მატერიალური გარემოს ათვისების მაღალი ხარისხის, სხვადასხვა დანიშნულების ობიექტების კონცენტრაციის, ტერიტორიების გამოყენების ინტენსივობის, არქიტექტურულ-ქალაქთმშენებლობითი ანსამბლებისა და მოცულობითი აქცენტების, საზოგადოებრივი ცენტრების - აქტიური საცხოვრებელი და საზოგადოებრივი გარემოს არსებობის ნიშნით გამოყოფილი სტრუქტურული ელემენტი, რომელიც ყალიბდება საერთო საქალაქო მნიშვნელობის უწყვეტი და რეგულირებადი, აგრეთვე რაიონული მნიშვნელობის სატრანსპორტო - ფუნქციური მაგისტრალისა და ქუჩების გასწვრივ და რომელიც, როგორც წესი, მოიცავს ნაკვეთების პირველ რიგს, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტებით.

განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონა: _____

განსაკუთრებული სარეკრეაციო ზონა: _____

გარემოს დაცვის ზონა: _____

ნორმატიული ფასის ზონა: ზონა 166 - აკაკი წერეთლის გამზირი (ფასი 527 ლარი);

ზონა 99 - დიდუბე, შუა დიდუბე (ფასი 145 ლარი);

შეზღუდვები: _____

სპეციალური რეჟიმები: _____

შენიშვნა:

არქეოლოგიური უბანი/ობიექტი: _____

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს სხდომის ოქმი **N 32 10.08.2017წ.** (იხ.დანართი);

შენიშვნა:

1. გათვალისწინებული იქნეს ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2017 წლის 10 აგვისტოს N32 სხდომაზე გამოთქმული შენიშვნები და რეკომენდაციები.
2. საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილი იქნეს იპოთეკარის შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობა;
3. პროექტის შეთანხმების სატადიაზე დაცული იქნეს საჯარო რეესტრიდან ამონაწერში დაფიქსირებული შეზღუდული სარგებლობა.
4. წარმოდგენილი იქნეს ვიზუალიზაცია (სამგანზომილებიანი (3D) მაკეტი საპროექტო მოცულობების ჩვენებით) მიმდებარე ტერიტორიის კონტექსტში, ფოტომონტაჟები, განშლები, რომლებშიც ასახული იქნება ახალშენებლობის მთელი კომპლექსი, რათა კარგად გამოჩნდეს ახალი მოცულობების თავსებადობა არსებულ ლანდშაფტთან და ქალაქის სილუეტთან;
5. წარმოადგინეთ დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილების (შემდგომში განაშენიანების ძირითადი დებულებები) 22-ე მუხლის შესაბამისად დამატებითი დოკუმენტაცია (იხ. დანართი 1);

II. ტერიტორიის სამშენებლო განვითარების ზოგადი პირობები, მოთხოვნები და რეკომენდაციები:

1. გასათვალისწინებელი ტექნიკური რეგლამენტები:

1. დაცულ იქნეს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების“ ტექნიკური რეგლამენტის (დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის N41 დადგენილებით) მოთხოვნები;
2. შენობის საინჟინრო სისტემებით (კონდიციონერა, გათბობა-ვენტილაცია და სხვა) უზრუნველყოფა: პრიორიტეტულად მიჩნეულია ცენტრალური სისტემების მოწყობა. სხვა შემთხვევებისთვის იხილეთ ზოგადი (სარეკომენდაციო) მითითებები;
3. 2017 წლის 01 იანვრიდან ძალაში შევიდა საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს დამტკიცების თაობაზე. ამ დადგენილების მოქმედება ვრცელდება კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრულ III, IV კლასს დაქვემდებარებული შენობებისა და ნაგებობების დაგეგმარებაზე და მშენებლობაზე;

2. ტერიტორიის დახასიათება და ქალაქთმშენებლობითი განვითარების შესაძლებლობები

2.1 „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებით დამტკიცებული გენერალური გეგმის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება **საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2)**;

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს აკაკი წერეთლის გამზირის მიმდებარედ, რომელიც განაშენიანებულია დაბალი და საშუალო ინტენსივობის საცხოვრებელი და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობებით.

საპროექტო ტერიტორიამდე სატრანსპორტო კავშირი ხორციელდება აკაკი წერეთლის გამზირის მეშვეობით;

2.2. საპროექტო განაშენიანების ფუნქციური ზონები

გრგ საპროექტო ტერიტორია შესაძლებელია განვითარდეს:

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებით დამტკიცებული გენერალური გეგმის მიხედვით, დადგენილი ფუნქციური ზონით - **საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის შესაბამისად, ამ ზონაში დასაშვები ძირითადი და საგამონაკლისო სახეობების თანახმად.**

- შიდა საუბნო, ძირითადი ქუჩათა ქსელისთვის დადგინდეს სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) და გამოიყოს დამოუკიდებელ საკადასტრო ერთეულად;

- საპროექტო ტერიტორიაზე დასაგეგმარებელი ობიექტების ფუნქციები უნდა განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების (შემდგომში განაშენიანების რეგულირების წესები) შესაბამისად;

3. შენობა-ნაგებობის არქიტექტურულ-კომპოზიციური გადაწყვეტა და კავშირი მიმდებარე გარემოსთან განხორციელდეს:

- წარმოდგენილ იქნეს საპროექტო ტერიტორიის მიწის ნაკვეთების განაწილების გეგმა განაშენიანების რეგულირების წესების მუხლი 26-ის (მიწის ნაკვეთის გამიჯვნა) თანახმად, რომლის შესაბამისად მომზადებული საკადასტრო გეგმები, საფუძველი იქნება ობიექტების შემდგომი ინდივიდუალური მშენებლობისთვის;

- ცალკეული შენობა-ნაგებობებისთვის მიწის ნაკვეთის გამიჯვნისას გათვალისწინებული იქნეს თითოეული მიწის ნაკვეთის საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით სათანადოდ უზრუნველყოფა, რისთვისაც მინიმალური პირობაა მშენებლობა დამთავრებულ ობიექტთან მინიმუმ ერთი მისასვლელის არსებობა, მათ შორის სერვიტუტის გამოყენებით;

- წარმოდგენილ იქნეს საპროექტო ტერიტორიის და მის გარე ტერიტორიასთან კავშირის განსახორციელებლად სატრანსპორტო სქემა, შესაბამისი დატვირთვების ანგარიშის შესაბამისად;

- გამოიყოს ტერიტორია საერთო სარგებლობის ღია ავტოსადგომების მოსაწყობად (ღია და დახურული სადგომების რაოდენობა განისაზღვროს გრგ-ს პროექტით, საპროექტო ობიექტ(ებ)ის დანიშნულებიდან და ფუნქციებიდან გამომდინარე);

- საკადასტრო რუკით დადგენილ საზღვრებში გათვალისწინებულ უნდა იქნეს ერთი ავტოსადგომი-კ-2 საანგარიშო ფართობის ყოველ 150 მ²-ზე და 180 მ²-ზე ტერიტორიული-სტრუქტურული ზონირების თანახმად, უპირატესობა მიენიჭოს მიწისქვეშა ავტოსადგომების მოწყობას;

4. მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობების დანგრევა და გადატანა, ან მათი სივრცით-გეგმარებითი მოწყობის შეცვლა; სივრცით მოცულობითი გადაწყვეტა

- საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი პროექტის გათვალისწინებით მოხდეს ტერიტორიაზე არსებული შენობების დაშლა და ტერიტორიიდან გატანა;

- ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციის (მიშენება ან დაშენება) შემთხვევაში წარმოდგენილ იქნეს მათი მდგრადობის დასკვნა;

- სართულიანობა და განაშენიანების ტიპი დადგენილ იქნეს განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით;

- ალქმის წერტილები, დომინანტები და სილუეტი განისაზღვროს განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით;

- სარეკრეაციო სივრცეები დაიგეგმოს ფუნქციური ზონების და საპროექტო ობიექტების შესაბამისი მოცულობებით;

5. მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობათა განთავსების პირობები და მაქსიმალური სიმაღლეების განსაზღვრა

მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობათა განთავსების პირობები და მაქსიმალური სიმაღლეების განსაზღვრა რეგულირდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ V თავის თანახმად;

საზოგადოებრივი საზღვარი: განაშენიანების რეგულირების გეგმით დადგენილი შიდა საუბნო ქუჩებიდან და აკაკი წერეთლის გამზირიდან;

მაქსიმალურად დასაშვები სიმაღლე: განისაზღვრება ფორმულით $H=L/Y$, სადაც;

H - განაშენიანების სიმაღლის რეგულირების ხაზის ნიშნულს;

L წარმოადგენს დაშორებას შენობასა და საზოგადოებრივ სივრცეს ან/და სამეზობლო საზღვარს შორის.

Y= წარმოადგენს კოეფიციენტს, რომლის მნიშვნელობაა:

ა) 0.35 დასახლებათა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონებისათვის;

ბ) 0.25 სამრეწველო ზონებისათვის;

გ) 0.4 ყველა სხვა ზონისათვის.

6. მოთხოვნები იმ ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებების დაცვაზე, რომელთა ინტერესებსაც ეხება ტერიტორიის სამშენებლო განვითარება (საკადასტრო ერთეულების გაერთიანება-შერწყმა ახალი სერვიტუტების წარმოქმნა, ინსოლაცია, ბუნებრივი განათება, ჩაუხედავობა და სხვა) განისაზღვროს:

- ტერიტორიის სამშენებლო განვითარება განისაზღვროს ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით, ქვეყანაში და დედაქალაქში დადგენილი სამართლებრივ-ნორმატიული მოთხოვნების საფუძველზე.

- დაცული იქნეს მიწის ნაკვეთის საზღვარზე (მიჯნაზე) სამშენებლო წესებისა და ნორმების მოთხოვნები;

- შენობების განთავსების ადგილები განისაზღვროს ზოგადი საინჟინრო გეოლოგიური დასკვნების შესაბამისად.

- გრგ-ს პროექტის დამტკიცების სტადიაზე წარმოდგენილი იქნეს მესაკუთრ(ებ)ის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა;

- გრგ-ს პროექტის დამტკიცების სტადიაზე მოხდეს გრგ არეალში შემავალი უფლებადაურეგისტრირებელი ტერიტორიების რეგისტრირება, მათი საკადასტრო ერთეულებად ფორმირება და წარმოდგენილი იქნეს მესაკუთრ(ებ)ის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა;

- განაშენიანების რეგულირების გეგმის დასამტკიცებლად მომართვა უნდა განახორციელოს მიწის ნაკვეთის მესაკუთრებმა ან მინდობილმა პირმა, შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობით;

- წარმოდგენილი იქნეს განახლებული საკადასტრო გეგმები და ამონაწერები საჯარო რეესტრიდან;
- საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილი იქნეს იპოთეკარის შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობა;
- საცხოვრებელი ინფრასტრუქტურისთვის მოეწიოს საერთო სარგებლობის სარეკრეაციო სივრცეები (ბავშვთა სათამაშო მოედნები, სკვერები, ბალები) და სპორტული მოედნები;
- დაცული იქნეს არსებული საინჟინრო კომუნიკაციებიდან და მათი ფუნქციონირებისათვის განკუთვნილი ნაგებობებიდან საპროექტო კომპლექსის განთავსების ნორმები, შემდგომ სტადიაზე წარმოდგენილი უნდა იქნეს თანხმობა შესაბამისი სამსახურიდან;

- გრგ-ს პროექტის დამტკიცების სტადიაზე წარმოდგენილი იქნეს:

- გრგ-ს პროექტში შემავალი მიწის ნაკვეთ(ებ)ის საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა ამონაწერ(ებ)ი საჯარო რეესტრიდან, იმ შემთხვევაში, თუ მესაკუთრე შპს-ა, მაშინ ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან და პასუხისმგებელი პირის/პირების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა;
- უნებართვოდ ან/და სამშენებლო დოკუმენტის დარღვევით ნაწარმოები მშენებლობის შემთხვევაში მოხდეს მათი დემონტაჟი და ამის შესახებ ეცნობოს ზედამხედველობის სამსახურს, ან საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 63-ე მუხლის II პუნქტი თანახმად, დამრღვევის მიერ პროექტის შეთანხმების სტადიაზე, წარმოდგენილი იქნეს შესაბამისი დარღვევისათვის გამოცემული აქტი და ჯარიმის ქვითარი ან თუ აღნიშნული შენობა კანონიერია, წარმოდგენილი იქნეს მშენებლობის დამადასტურებელი საბუთი და განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა;

7. ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების შენარჩუნება, ტერიტორიის კეთილმოწყობა და გარემოს დაცვის პირობები განისაზღვროს შემდეგ ნაირად:

- წარმოდგენილ იქნეს საპროექტო ტერიტორიის კეთილმოწყობის და გამწვანების დენდროლოგიური გეგმა;
- განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავებისას გათვალისწინებული იქნეს გარემოსდაცვითი და სანიტარული კანონმდებლობის მოთხოვნები;
- გამოიყოს ტერიტორიები ნაგვის ყუთების განსათავსებლად;
- მოეწიოს ლიფტები და პანდუსები უნარშეზღუდული პირების ეტლების გადასაადგილებლად;

8. მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესრულების საჯაროობის უზრუნველყოფა:

- ნებართვის გაცემის თითოეული სტადიაზე განცხადების შეტანის მომენტისათვის უზრუნველყოფილი იქნეს შესაბამის ობიექტზე (შენობა-ნაგებობაზე), თვალსაჩინო ადგილას საინფორმაციო დაფის განთავსება. სამშენებლო დოკუმენტში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება, რომელიც ცვლის საინფორმაციო დაფაზე განთავსებული ინფორმაციის არსს, უნდა განთავსდეს საინფორმაციო დაფაზე. საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტია **A2 ზომის ფორმატი**. საინფორმაციო დაფა უნდა არსებობდეს სამშენებლო სამუშაოთა წარმოების მთელ პერიოდში და მოიხსნას შენობა-ნაგებობის მშენებლობის დასრულების ან/და ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ. დაუშვებელია მისი სარეკლამო მიზნებისათვის გამოყენება.
- საპროექტო ტერიტორიის დაგეგმვის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საჯაროობის

უზრუნველყოფას („საქართველოს კანონი სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“, მუხლი 6; საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებები“ მუხლი 24. განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-17 პუნქტში მოცემული ინფორმაციის გათვალისწინებით);

9. ტერიტორიის და მისი გეგმარებითი არეალის საინჟინრო-კომუნალური, სატრანსპორტო და სოციალური ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა

- განისაზღვროს ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით;
- დაგეგმილი განაშენიანება უზრუნველყოფილი იქნეს საინჟინრო, სატრანსპორტო, და სხვა სახის ინფრასტრუქტურით;
- კომუნიკაციების არსებობის შემთხვევაში, დაცული იქნეს არსებული საინჟინრო კომუნიკაციებიდან და მათი ფუნქციონირებისათვის განკუთვნილი ნაგებობებიდან საპროექტო კომპლექსის განთავსების ნორმები, ხოლო მათი გატანის აუცილებლობის საკითხი შეთანხმდეს შესაბამის მფლობელებთან;
- გათვალისწინებული იქნეს ხაზოვანი ნაგებობების (წყალსადენი, გაზსადენი, ელექტრო სადენი, წყალარინების სადენი და სხვა) სქემა, როგორც პროექტში, ასევე, ყველა საჭირო რუკაზე;
- გრგ-ს პროექტით განისაზღვროს სპეციალური ადგილები საკომუნიკაციო მომსახურების უზრუნველსაყოფად (წყალსადენი, გაზსადენი, ელექტრო სადენი, წყალარინების სადენი და სხვა);
- გრგ პროექტში წარმოადგინეთ საპროექტო ტერიტორიის ყველა საინჟინრო კომუნიკაციისთვის (წყალსადენი, გაზსადენი, ელექტრო სადენი, წყალარინების სადენი და სხვა) ძირითადი და ლოკალური ხაზობრივი ნაგებობები (შესაბამისი კატეგორიის ხაზობრივი ნაგებობა და დაცვის ზოლი, პარამეტრების ცხრილი, აგრეთვე, ცალკეული მიწის ნაკვეთებისთვის (მათი არსებობის შემთხვევაში) განკუთვნილი სიმძლავრეები. მონაცემები და სქემები საინჟინრო ინფრასტრუქტურის შესახებ წარმოდგენილი იქნეს შესაბამისი უწყებებიდან (თანდართული ოფიციალური წერილით);
- მიწის ნაკვეთის გამიჯვნისას, ცალკეული ნაგებობებისთვის გათვალისწინებული იქნეს თითოეული მიწის ნაკვეთის საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით სათანადოდ უზრუნველყოფა, რისთვისაც მინიმალური პირობაა მშენებლობა დამთავრებულ ობიექტთან მინიმუმ ერთი მისასვლელის არსებობა, მათ შორის სერვიტუტის გამოყენებით;
- წარმოდგენილი იქნეს საპროექტო ტერიტორიის და მის გარე ტერიტორიასთან კავშირის განსახორციელებლად სატრანსპორტო სქემა მიმდებარედ არსებული ქუჩათა ქსელისა და სატრანსპორტო კვანძების და დაგეგმილი ფუნქციური ზონირების კონტექსტში, შესაბამისი დატვირთვების ანგარიშით, სავალი ნაწილების დასაშვები გამტარიანობის ინდიკატორის (ერთეული საათში) მითითებით;

III. ტერიტორიის სამშენებლო განვითარების პარამეტრები:

1. საპროექტო ტერიტორიის ფართობი საკადასტრო ერთეულის თანახმად: 14708 კვ.მ;
- 1.1. შესაძლებელია საპროექტო ტერიტორიის არეალი და ფართობი დაზუსტდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების სტადიაზე;
2. გრგ-ს საპროექტო ტერიტორიაზე დასაშვები ფუნქციური ზონის სახეობა:

საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2); სატრანსპორტო ზონა-1 (გზის მოწყობის მიზნით, მათ შორის საერთო სარგებლობის)
3. ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები:

სსზ-2 – განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს ობიექტები საზოგადოებრივი დანიშნულების ფუნქციებით; შესაძლებელია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის ფუნქციონირების უზრუნველყოფი საცხოვრებელი შენობების/სამყოფების, როგორც არადომინირებული სახეობის არსებობა, არაუმეტეს შენობის საერთო ფართობის 25%-ის;

განაშენიანების რეგულირების პარამეტრები			
კ-1		0,5 * / 0,7	კოეფიციენტი
კ-2		4,6	კოეფიციენტი
კ-3		0,2	კოეფიციენტი
საცხოვრებელი სიმჭიდროვე		–	ერთეული/ჰა
მიწის ნაკვეთის ფართობი და ზომები	მინიმალური ფართობი	700	კვ.მ
	მინიმალური სიგანე	20	მეტრი
	მინიმალური სიღრმე	30	მეტრი
შენობა-ნეგებობის მაქსიმალური სიმაღლე		–	მეტრი
შენიშვნა	<i>* მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის</i>		

ტზ-1 – დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა ამ წესების მე-15 მუხლით განსაზღვრული ქვეზონით მოცული შენობა-ნაგებობებისა;

განაშენიანების რეგულირების პარამეტრები			
კ-1		–	კოეფიციენტი
კ-2		–	კოეფიციენტი
კ-3 *		0,1	კოეფიციენტი
საცხოვრებელი სიმჭიდროვე		–	ერთეული/ჰა
მიწის ნაკვეთის ფართობი და ზომები	მინიმალური ფართობი	–	კვ.მ
	მინიმალური სიგანე	–	მეტრი
	მინიმალური სიღრმე	–	მეტრი
შენობა-ნეგებობის მაქსიმალური სიმაღლე		–	მეტრი
შენიშვნა	<i>* კოეფიციენტი ეხება: ტროტუარის მიმდებარე გაზონებს, ქუჩის მომიჯნავე გამწვანებულ ზოლებს, გამწვანებულ გზაგამყოფებს და მსგავს სივრცეებს და მათი გათვალისწინება სავალდებულოა ქუჩების, გზების, გზატკეცილების მშენებლობისას/რეკონსტრუქციისას, სადაც ეს ტექნიკურად არის შესაძლებელი</i>		

4. განაშენიანების რეგულირების ხაზები

ა) განაშენიანების რეგულირების ხაზები, (წითელი ხაზები) განისაზღვროს გრგ-ს პროექტით. წითელი ხაზები შენობათა განთავსებისთვის სავალდებულო ინსტრუმენტია და უნდა პასუხობდეს გეგმარებით დავალებას, ან გრგ მიზნებს;

ბ) განაშენიანების სავალდებულო ხაზები (ლურჯი ხაზები) განისაზღვროს გრგ-ს პროექტით. ლურჯი ხაზები შენობათა განთავსებისთვის არასავალდებულო ინსტრუმენტია და უნდა პასუხობდეს გეგმარებით დავალებას, ან გრგ მიზნებს.

IV. განაშენიანების რეგულირების გეგმის (შემდეგში – გრგ) შესათანხმებლად წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის ალბომი მოიცავს:

1. ალბომის სატიტულო მოთხოვნები : (ყდა , სატიტულო გვერდ(ებ)ი, საკვალიფიკაციო გვერდი; სარჩევი)
2. სამართლებრივი აქტი (განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების ბრძანება ან დადგენილება ან განკარგულება)
3. გეგმარებითი დავალება
4. გეგმარებით დავალებაში ცვლილება (არსებობის შემთხვევაში)
5. გამოყენებული შემოკლებები (გამოყენებული ტერმინების შემოკლებები და მათი გაშიფვრა).
6. გამოყენებული პირობითი აღნიშვნები (რუკებზე მოცემული პირობითი სიმბოლოების გრაფიკული და ტექსტური გაშიფვრა; ზონირების ნაწილში მგგ დადგენილი ფერები.)
7. გრაფიკული ნაწილის ნუსხა (ცხრილის სახით გეგმების, რუკების, სქემების ან/და ილუსტრაციების ჩამონათვალი, შესაბამისი აღნიშვნებით ან/და ნუმერაციით.)
8. დაგეგმვის მიზანი და ამოცანები (რა სახის და შინაარსის გარემოს ფორმირებას ემსახურება გრგ; რა გარემოებები იქნა გათვალისწინებული გადაწყვეტებში და რა გამოწვევებს პასუხობს გრგ)
9. სივრცით ტერიტორიული განვითარების რეგლამენტები (ზონაში უძრავი ქონების ნებადართული გამოყენების სახეობები; შესაბამისი განაშენიანების რეგულირების პარამეტრები; განსხვავებული პარამეტრები ან/და გამოყენების სახეობები; შენობათა განთავსების განსხვავებული წესი)
10. დაგეგმვის ეფექტიანობის (ზეირიანობის) შეფასება (swot) ანალიზი (დაგეგმვის შედეგად ხარჯების გადანაწილების პირობები და მათი სამომავლო შედეგები (ეფექტი); პროექტის განხორციელების სარგებლიანობა კერძო და საჯარო ინტერესების ჭრილში).
11. მშენებლობის განხორციელების ეტაპები და რიგითობა;
12. გეგმარებითი დავალების საწყისი საკადასტრო მონაცემები (საკადასტრო გეგმები)
13. სიტუაციური გეგმა
14. ტოპოგრაფიული გეგმა (1:5000–დან 1:10000–მდე)
15. საპროექტო ტერიტორიის საზღვრების რუკა
16. ფოტოსურათები (თარიღის მითითებით)
17. ფოტოფიქსაციის სქემა
18. ტექნოგენური საფრთხეების ზონირება
19. ბუნებრივი საფრთხეების ზონირება
20. სამშენებლო და არასამშენებლო ტერიტორიების ზონირება
21. გეგმარების შეზღუდვის ზონირება
22. ტერიტორიული-სტრუქტურული ზონირება
23. ფუნქციური ზონირება
24. გეგმარების შემზღუდავი კონკრეტული ზონირება;
25. ტერიტორიის სტრუქტურული კონკრეტული ზონირება
26. მიწის ნაკვეთების განაწილების გეგმა
27. დადგენილი ფუნქციური ზონების და გამოყენების სახეობების (ობიექტები და ფუნქციები) გეგმა
28. მიწის ნაკვეთის კ-1, კ-2, კ-3 დადგენის გეგმა
29. შენობა-ნაგებობების მაქსიმალური სიმაღლის ან/და სართულიანობის დადგენის გეგმა
30. მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობის და ზომების დადგენის გეგმა
31. მიწის ნაკვეთებზე შენობათა განთავსების გეგმა
32. ავტომანქანების სადგომი ადგილების რაოდენობის დადგენის გეგმა
33. მიწის ნაკვეთების დეტალური რეგლამენტების დოკუმენტი
34. ძირითადი და ლოკალური გზების ან/და ქუჩების გეგმა
35. ავტოსადგომების განაწილების გეგმა
36. საგზაო მოძრაობის ორგანიზების გეგმა
37. წყალსადენის და საყოფაცხოვრებო წყალარინების ძირითადი და ლოკალური ქსელის გეგმა
38. ელექტრომომარაგების ძირითადი და ლოკალური ქსელის გეგმა

- 39. ბუნებრივი აირით მომარაგების ძირითადი და ლოკალური ქსელის რუკა
- 40. სანიაღვრე წყალარინების ძირითადი და ლოკალური ქსელის გეგმა
- 41. გამწვანების დენდროლოგიური გეგმა
- 42. ვერტიკალური გეგმარება
- 43. ვიზუალიზაცია
- 44. ზოგადი საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა;
- 45. საჯარო რეესტრის ამონაწერები და თანხმობის აქტები;
- 46. ტერიტორიის ისტორიულ-კულტურული კვლევა (საჭიროების შემთხვევაში);
- 47. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დასკვნა (საჭიროების შემთხვევაში);

V. შენიშვნები:

1. გრგ-ს პროექტის შემადგენლობაში წარმოდგენილი იქნეს ტერიტორიის არსებული მდგომარეობის ამსახველი წინასაპროექტო კვლევის მონაცემები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ მე-2 თავის 8-ე მუხლისა და ამ გეგმარებითი დავალების მოთხოვნების შესაბამისად;
2. განაშენიანების რეგულირების გეგმის დასამტკიცებლად წარმოსადგენი დოკუმენტაციის მასალები AutoCAD ან ArchiCAD, PDF ფორმატში ატვირთული იქნეს პორტალზე <https://urban.tbilisi.gov.ge> განაშენიანების რეგულირების გეგმის ელექტრონული განცხადების კატეგორიაში, ნომეკლატურა: განაშენიანების რეგულირების გეგმა. საკოორდინატო სისტემა უნდა შეესაბამებოდეს WGS 1984 UTM Zone 38N-ს.
3. გრაფიკული ნაწილის მასშტაბები უნდა შეესაბამებოდეს გეგმარებითი დავალებით დადგენილს, რაც შეიძლება დაზუსტდეს ან შეიცვალოს დაგეგმვის საჭიროების მიხედვით;
4. გრაფიკული ნაწილის მასშტაბების დიაპაზონი არის 1:500-1:5000;
5. გრგ ნახაზებზე გამოიყენება რიცხობრივი მასშტაბი. სურვილისამებრ შესაძლებელია დამატებით ხაზოვანი მასშტაბის გამოყენება.

დამატებითი ინფორმაცია:

საპროექტო ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავებული პროექტი და საპროექტო დოკუმენტაცია წარადგინოს დამკვეთმა ან დამპროექტებელმა (დამკვეთის შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობით) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურში.

წინამდებარე გეგმარებითი დავალება ძალაშია მისი გაცემის თარიღიდან ხუთი წლის განმავლობაში.

დანართი 1

განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შემუშავებისათვის წინასაპროექტო კვლევის შემადგენლობა განისაზღვრება ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილების (შემდგომში განაშენიანების ძირითადი დებულებები) 22-ე მუხლით და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“.

1. წინასაპროექტო კვლევა - განაშენიანების ძირითადი დებულებების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით.

1.1 ფიზიკური გარემოს კვლევა - განაშენიანების ძირითადი დებულებების 22-ე მუხლის, მე-3 პუნქტის „ა“ – „ზ“;

- საპროექტო ტერიტორიის ზოგადგეოლოგიური და სეისმური მონაცემები (**ზოგადი საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა**);
- საპროექტო ტერიტორიის არსებული ბუნებრივი ფასეულობების მონაცემები;
- საპროექტო ტერიტორიის არსებული ეკოლოგიური მონაცემები;
- საპროექტო ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა მონაცემები;

• **განაშენიანების სტრუქტურისა და ფუნქციური დანიშნულების კვლევა** - განაშენიანების ძირითადი დებულებების 22-ე მუხლის მე-7 პუნქტი და განაშენიანების რეგულირების წესების მე-8 მუხლის 1^ა პუნქტი (საკვლევი არეალი განისაზღვროს საპროექტო ტერიტორიიდან 300 მეტრის რადიუსით, მეტრო დიდუბის მიმდებარე ტერიტორიის ჩათვლით).

- საკვლევ ტერიტორიაზე არსებული განაშენიანების ფუნქციური დანიშნულების ანალიზი; შენობა-ნაგებობების და ღია სივრცეების ფუნქციური გამოყენებების იდენტიფიკაცია;
- საკვლევ ტერიტორიაზე არსებული შენობების სართულიანობისა და სიმაღლეების იდენტიფიკაცია;
- საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში განაშენიანების, ბინების და მოსახლეობის არსებული სიმჭიდროვე;
- მონაცემები საკვლევ ტერიტორიაზე განლაგებული ავტოფარეხებისა და ავტოსადგომების შესახებ;
- მონაცემები საკვლევ ტერიტორიაზე არსებული საჯარო და კერძო სკოლების და საბავშვო ბაღების, ბაგა-ბაღების არსებობის შესახებ, საანგარიშო და არსებული დატვირთვები და დისტანცია საპროექტო არეალიდან;
- საპროექტო ტერიტორიაზე და მის მომიჯნავედ არსებული შენობების ფიზიკური მდგომარეობის საექსპერტო შეფასება.
- საპროექტო ტერიტორიაზე და მის მომიჯნავედ არსებული შენობების ფიზიკური მდგომარეობის ამსახველი გრაფიკული მასალა;

- მონაცემები საკვლევტერიტორიაზე არსებული გამწვანებისა და კეთილმოწყობის ობიექტების შესახებ;
- მონაცემები საკვლევტერიტორიაზე გავრცელებული გეგმარებითი შეზღუდვების შესახებ;

1.3. ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება განაშენიანების ძირითადი დებულებების 22-ემუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით;

- **საპროექტო წინადადების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება, რომელიც განსაზღვრავს აღნიშნული ტერიტორიის შემოთავაზებული ინტენსივობით და ფუნქციებით განვითარების მიზანშეწონილობას და აღნიშნული ინტენსივობის და ფუნქციების ზეგავლენის პროგნოზს საკვლევ ტერიტორიაზე (წინასაპროექტო კვლევის ტექსტური და გრაფიკული მასალა უნდა აისახოს წარმოსადგენ დოკუმენტში, სადაც თავმოყრილი იქნება ჩატარებული წინასაპროექტო კვლევის შედეგები (სასურველია მეთოდოლოგიის მითითებით), ხოლო ძირითადი აღმოჩენები წარმოადგენს საპროექტო წინადადების საფუძველს).**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისთვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია. დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოსადგენად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 30 სამუშაო დღე. გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი. ამ გადაწყვეტილების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის გადაწყვეტილების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.